



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 09 სექტემბერი

დისციპლინური საქმე №184/18

მოსამართლე --- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

--- 2018 წლის 04 ივლისის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 05 ნოემბრის დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 09 სექტემბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით, 1998 წლის 20 აგვისტოს --- სარჩელით მიმართა --- სასამართლოს. აღნიშნული სარჩელი არ განხილულა 2017 წლის 30 მაისამდე. ამ დავის მონაწილე არის ასევე --- (მოპასუხე). ამ უკანასკნელმა, 2017 წლის 30 მაისს განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა, საქმის განხილვის შეწყვეტა. თუმცა, მოსამართლე --- თვითნებურად მაინც გააგრძელა საქმის განხილვა, რითიც დაარღვია კანონი.

მოსარჩელის წარმომადგენელს არ სურდა სარჩელის გახმობა, თუმცა მოსამართლემ ურჩია მოსარჩელეს გაეხმო სარჩელი, რადგან ისევ ჰქონოდა უფლება, სარჩელით მიემართა სასამართლოსათვის.

ასევე, მოსამართლე --- არ დააკმაყოფილა საჩივრის ავტორის განცხადება საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე, გამოიჩინა მიკერძოებულობა და მიიღო აბსურდული გადაწყვეტილება.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 1997 წლის 15 სექტემბერს --- სარჩელით მიმართა სასამართლოს --- 1995 წლის 11 დეკემბერს გაცემული პრივატიზაციის ხელშეკრულების გაუქმების და ხსენებული ბინიდან --- და --- გამოსახლების მოთხოვნით.

--- სასამართლოს 1999 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით, --- სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა - --- 1995 წლის 11 დეკემბერს დადებული პრივატიზაციის ხელშეკრულება და დადგინდა მოპასუხეების

-- -- და -- -- აღნიშნული ბინიდან გამოსახლება. ამასთან, ზემოაღნიშნული პრივატიზაცია მიეკუთვნა -- --
-- -- კი დაევალა ბიუროს ჩანაწერებში ცვლილებების შეტანა.

აღნიშნული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება მოითხოვა -- -- იმ
საფუძველით, რომ კანონით დადგენილი წესით არ იყო მოწვეული საქმის განხილვაში.

1999 წლის 20 დეკემბერს -- -- სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა -- -- 1982 წლის 24
ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმება. -- -- სასამართლოს 2004 წლის 17 თებერვლის განჩინებით -- --
სარჩელი და -- -- ზემოხსენებული სარჩელი, გაერთიანებულ იქნა ერთ წარმოებად.

-- -- სასამართლოს 2004 წლის 17 თებერვლის განჩინებით გაუქმდა -- -- 1999 წლის 22 იანვრის
გადაწყვეტილება და დადგენილ იქნა, რომ -- -- სარჩელის განხილვა უნდა განხორციელებულიყო
თავიდან.

-- -- სასამართლოს 2004 წლის 12 მარტის განჩინებით, -- -- სასარჩელო განცხადება -- -- 1982 წლის 24
ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით კვლავ ცალკე წარმოებად იქნა გამოყოფილი -- --
სასარჩელო განცხადებისგან (პრივატიზაციის ხელშეკრულების გაუქმებისა და ბინიდან გამოსახლების
შესახებ) და დადგინდა მათი ცალკე-ცალკე განხილვა.

-- -- სასამართლოს 2004 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა -- --
-- -- 1982 წლის 24 ნოემბრის № -- -- გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა -- --.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 25 სექტემბრის განჩინებით საქმეში
მესამე პირად ჩაება -- --. ამავე სასამართლოს 2010 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებით, -- --
სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და -- -- სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ
იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც -- -- უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე. აღნიშნული
გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა -- --.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 22 დეკემბრის განჩინებით -- -- საკასაციო საჩივარი
დაუშვებლად იქნა ცნობილი. ამდენად, -- -- სასარჩელო განცხადებასთან დაკავშირებით კანონიერ
ძალაში შევიდა -- -- სასამართლოს 2010 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება. რაც შეეხება -- --
სასარჩელო განცხადებას პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილობასა და გამოსახლებასთან
დაკავშირებით, რომელიც გამოყოფილი იქნა -- -- სარჩელისაგან ცალკე წარმოებად, განხილული არ
ყოფილა.

2.2. -- -- სარჩელის განხილვის მიზნით 2017 წლის 30 მაისს სასამართლოს განცხადებით მიმართა -- --.
აღნიშნული განცხადება, -- -- წარმომადგენლის 2017 წლის 12 დეკემბრის განცხადების საფუძველზე, -- --
-- -- სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 25 დეკემბრის განჩინებით დარჩა
განუხილველი, მხარის მიერ მისი გამოხმობის გამო (მოსამართლე -- --).

-- -- სასამართლოს 2017 წლის 25 დეკემბრის განჩინებით, -- -- გარდაცვალების გამო მის
უფლებამონაცვლედ დადგენილ იქნა -- --.

-- -- სასამართლოს 2017 წლის 25 დეკემბრის განჩინებით, დავის საგნის არ არსებობის გამო შეწყდა
საქმის წარმოება -- -- უფლებამონაცვლე -- -- სარჩელის გამო, მოპასუხეების -- -- და -- -- მიმართ
უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის ნაწილში.

2018 წლის 02 აპრილის სხდომაზე -- -- წარმომადგენელმა ითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა დავის
საგნის არ არსებობის გამო. საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ შუამდგომლობას არ დაეთანხმა -- --
და ითხოვა სარჩელის განუხილველად დატოვება გამოხმობის გამო. 2018 წლის 02 აპრილის განჩინებით
-- -- მიიღო გადაწყვეტილება საქმის წარმოების შეწყვეტაზე -- -- უარის თქმის და სარჩელის
განუხილველად დატოვების თაობაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება -- -- გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში. 2018 წლის 30 აპრილის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად (მოსამართლე - -- --). -- -- სასამართლოში საქმის განხილვა წინამდებარე დასკვნის მომზადების დროისათვის არ დასრულებულა.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

-- -- 2018 წლის 04 ივლისის №184 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტით (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქციით) გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით“ (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქციით).

ხსენებული ნორმის შინაარსიდან ცხადი ხდება, რომ სამოსამართლო უფლებამოსილების არაჯეროვნად, მიკერძოებულად განხორციელება შეიძლება განპირობებული იყოს სამი ძირითადი ფაქტორით. ესენია, საქმის განხილვის საბოლოო შედეგთან ან კონკრეტულ საპროცესო მოქმედებასთან დაკავშირებული მოსამართლის პირადი ინტერესი, მოსამართლის პოლიტიკური შეხედულებები ან/და სოციალური ზეგავლენა, რაც კონკრეტული საქმის გადაწყვეტის პროცესში მოსამართლის მიერ საზოგადოებრივი აზრით ნაკარნახევი ქმედების განხორციელებას გულისხმობს.

აღსანიშნავია, რომ მოსამართლის მხრიდან საქმისადმი პირადი ინტერესის შემთხვევაში, ქმედება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს გადაცდომად, შეიძლება იყოს როგორც მოსამართლის მიკერძოებული დამოკიდებულება საქმის ერთ-ერთი მხარის მიმართ, ისე ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულება ან მოსამართლის მიერ საკუთარი ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლი ადგენს სასამართლოში საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას. ხსენებული ნორმის პირველი პუნქტის პირველი წინადადების თანახმად, ყველას აქვს უფლება მისი საქმე განხილულ იქნას „დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.“ ცხადია, მოსამართლის პირადი დაინტერესება საქმის განხილვის მიმართ, გამორიცხავს სასამართლოს დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას და ამდენად, მოსამართლის პირადი ინტერესის შეფასებისას, მის მიერ კონკრეტული მხარის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულების დადასტურება კონვენციის ხსენებული მუხლის საწინააღმდეგო ქმედებად უნდა შეფასდეს.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) №3 დასკვნაში (აბზ. 20) მიუკერძოებლობა განმარტებულია, როგორც სუბიექტური მიდგომების და ობიექტური კრიტერიუმების ერთობლიობა. მიუკერძოებლობა გაგებული უნდა იყოს „... სუბიექტური მიდგომების გათვალისწინებით, რომელშიც მხედველობაში მიიღება ცალკეული მოსამართლის პირადი შეხედულებები და ინტერესები კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით...“

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) №3 დასკვნის 23-ე აბზაცის თანახმად, „მოსამართლეებმა უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები რაიმე სახის უპირატესობის, მიკერძოების ან წინასწარ შექმნილი განწყობის გარეშე... მოსამართლეებმა პატივისცემა უნდა გამოიჩინონ საქმის მონაწილე ყველა პირისადმი რაიმე სახის განსხვავების გარეშე...“. მოსამართლეებმა

იმგვარად უნდა განახორციელონ საკუთარი უფლებამოსილება, რომ „... მათი პროფესიული კომპეტენტურობა თვალსაჩინო იყოს.“ ხსენებული დასკვნის 21-ე აზვაციის მიხედვით, „მოსამართლეებმა ნებისმიერ გარემოში უნდა იმოქმედონ მიუკერძოებლად და უზრუნველყონ, რომ მოქალაქეებს არ ჰქონდეთ კანონიერი საფუძველი დაეჭვდნენ მათ რაიმე სახის მიკერძოებაში.“

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1985 წელს შემუშავებული დოკუმენტის, „სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები“-ს მეორე მუხლი ითვალისწინებს შემდეგ პირობას: „სასამართლომ მის წინაშე წარდგენილი საქმეები უნდა გადაწყვიტოს მიუკერძოებლად, ფაქტებზე დაყრდნობით და კანონის შესაბამისად, ნებისმიერი მხრიდან და ნებისმიერი მიზნით ყოველგვარი შეზღუდვის, შეუსაბამო ზეგავლენის, იძულების, ზეწოლის, დაშინების ან პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევის გარეშე.“

მოყვანილ მსჯელობას განამტკიცებს „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“-ს მეორე ღირებულება, რომლის მიხედვით, „მოსამართლის მიუკერძოებლობა მის მიერ თავისი მოვალეობების ჯეროვნად შესრულების აუცილებელი პირობაა. ის ვრცელდება არა მხოლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების შინაარსზე, არამედ იმ პროცესზეც, რომელიც წინ უძღვის გადაწყვეტილების მიღებას.“

„მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“-ს 2.2. პუნქტის თანახმად, „მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს რომ მისი ქცევა როგორც სასამართლოში, ასევე მის გარეთ იცავდეს და ამაღლებდეს მოსამართლის და სასამართლოს მიუკერძოებლობის მიმართ ნდობას, როგორც საზოგადოების, ასევე იურიდიული პროფესიების და მხარეების მხრიდან.“

ამასთან, სამოსამართლო ეთიკის წესების მე-8 მუხლის თანახმად, მოსამართლე ვალდებულია მასზე დაკისრებული მოვალეობები განახორციელოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სათანადო გულისხმიერებით.

წინამდებარე საქმის ფარგლებში საჩივრის ავტორის პრეტენზია ეხება მოსამართლის მიერ პირადი ინტერესის საფუძველზე საქმის განხილვის თვითნებურად, მხარეების თანხმობის გარეშე განახლებას. საქმის მასალების გაცნობის შედეგად დადასტურდა, რომ -- -- სასარჩელო განცხადება პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილობასა და გამოსახლებასთან დაკავშირებით, რომელიც გამოყოფილი იქნა -- -- სარჩელისაგან ცალკე წარმოებად, განხილული არ ყოფილა.

მოსამართლე -- -- აღნიშნული საქმე გადაეცა 2017 წლის 07 დეკემბერს. შესაბამისად, სახეზე იყო მიმდინარე საქმე, რომელზეც საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ არ იყო მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება. შესაბამისად, მოსამართლე -- -- ვალდებული იყო გაეგრძელებინა და დაესრულებინა საქმის განხილვა. ამდენად, მხარის მტკიცება იმის თაობაზე, რომ წინამდებარე საქმის განხილვის განახლებას სჭირდებოდა მხარეების განცხადება არ შეესაბამება სიმართლეს.

თუმცა, საქმეში არსებული მტკიცებულებების თანახმად, -- -- სარჩელის განხილვის მიზნით 2017 წლის 30 მაისს სასამართლოს განცხადებით მიმართა -- -- შესაბამისად, საჩივრის ავტორის ის განცხადება, რომ მას არ მიუმართავს სასამართლოსათვის საქმის განხილვის განახლების მოთხოვნით, არ არის მართებული.

საქმის წერილობითი და აუდიო ოქმების გაცნობის შედეგად არ დადასტურდა -- -- არც ის მტკიცება, რომ მოსამართლემ არსებითად ზეგავლენა მოახდინა მოსარჩელეზე და გაახმობინა მას სარჩელი იმ მიზნით, რომ ამ უკანასკნელს შემდგომ კიდევ ჰქონოდა შესაძლებლობა იდენტური სარჩელით მიემართა სასამართლოსათვის. ამ ვარაუდის დამადასტურებელი დოკუმენტი არც საჩივრის ავტორის მიერ ყოფილა წარმოდგენილი.

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გაითვალისწინა მოყვანილი არგუმენტები და აღნიშნულის გათვალისწინებით მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2020 წლის 09 სექტემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 11 წევრთაგან 11 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75¹² მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ვ ე ბ ა :

დისციპლინურ საქმეზე №184/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

**საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი**